მარინა ყაჯრიშვილი, ლილი ლომთაძე, ირინე ზარნაძე, დალი კიტოვანი

არასტეროიდული პრეპარატების გასაღების მარკეტინგული კვლევის შედეგები

თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.09

MARINA KAJRISHVILI, LILI LOMTADZE, IRINE ZARNADZE, DALI KITOVANI

KEY MARKETING RESEARCH FINDINGS FOR NON-STEROIDAL DRUGS

TSMU Department of Public Health, Management, Politics and Economics; Tbilisi, Georgia

SUMMARY

Non-steroidal anti-inflammatory drugs belong to the group of the most frequently consumed drugs in the world. Non-steroidal anti-inflammatory drugs of various groups are sold uncontrollably in the Georgian pharmaceutical market. All these drugs, with their many side effects, pose a serious threat to the health of our population.

The purpose of the study was to study the main trends and features of sales of non-steroidal anti-inflammatory drugs, as well as to develop relevant conclusions and recommendations.

The conducted research revealed that only 20% of consumers buy the mentioned drugs according to the doctor's prescription. Added to this is the extremely low level of awareness of the population in this direction. Based on the proper assessment of the research results, we can conclude that it is necessary and important to have an adequate independent system of monitoring adverse effects of drugs in the country.

Keywords: non-steroidal, drugs, marketing research

შესავალი: ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები განეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე ხშირად დანიშნული მედიკამენტების ჯგუფს. მთელს მსოფლიოში, ყოველწლიურად 30 მილიონზე მეტი ადამიანი მოიხმარს რომელიმე აასპ-ს, თავისთავად მწარმოებლებისათვის ეს მედიკამენტები მომგებიან ბიზნესს უზრუნველყოფენ. დაწყებული ასპირინიდან, ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე, იყიდება უამრავი სხვადასხვა ჯგუფის აასპ, რომელთა რეალიზაციის კონტროლი პრაქტიკულად არ ხდება. ყველა ეს პრეპარატი თავისი უამრავი გვერდითი მოვლენით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აასპ-ის გაყიდვების თავისებურებების შესწავლა, ექიმის დანიშნულების წილის განსაზღვრა, ფარმაცევტთა შეთავაზების და ახლობელთა რეკომენდაციების როლის მნიშვნელობა.

კვლევის მასალა და მეთოდები - ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა ანკეტირების საშუალებით. კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ისე ღია შეკითხვებს; კვლევაში მონაწილეობდა თბილისის საადგილმამულო ქსელის ერთ-ერთი დიდი ფარმაცევტული კომპანიის ფარმაცევტების ჯგუფი - კერძოდ გამოიკითხა 106 ფარმაცევტი, ასაკობრივი ჯგუფი შეადგენდა 24 – 55 წელს.

კვლევის შედეგები: კვლევამ გვიჩვენა, რომ ფარმაცევტთა 76% აღნიშნავდა, რომ ყოველი 10 მომხმარებლიდან 7-8 პირი სხვა მედიკამენტებთან ერთად აუცილებლად ყიდულობს აასპ-ს;

ფარმაცევტთა უმეტესობა (66%) აღნიშნავდა, რომ მომხმარებელთა მხოლოდ 20%-ს აქვს თან ექიმის დანიშნულება. აღმოჩნდა, რომ მეზობლებისა და ახლობლების რეკომენდაციებს განსაკუთრებული ფასი აქვს, ვინაიდან ვიზიტორთა 41-60% ითვალისწინებს მათ რჩევას. ახლობლების რჩევასთან ერთად ჩვენი მომხმარებლებიდან ყოველი მეორე ან მესამე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დარეკლამებულ მედიკამენტებს. ფარმაცევტები თავადაც იძლევიან რჩევებს, რომელთა წილი არც თუ მცირეა. პაციენტების 70-80% სწორედაც, რომ ფარმაცევტების შეთავაზებას იღებს. ფარმაცევტების 52%-ის აზრით ათვიაქში შემოსულ მომხმარებელთა თითქმის ნახევარმა თვითონ იცის რომელი აასპ მოსწონს. მომხმარებელთა მხოლოდ 19% ითხოვს მედიკამენტის ანოტაციას, პაციენტების 75% არ არის ინფორმირებული აასპ-ს გვერდითი მოვლენების შესახებ. არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებიდან ყველაზე ხშირად სთავაზობენ: ნიმესულიდს - 37,7%, დიკლოფენაკს - 28,3%, კეტოროლაკს - 23,6%, იბუპროფენს - 10,4%; აასპ-ს ყველაზე ხშირი მიზეზი რევმატიული ტკივილია.

2014 წლის სექტემბრამდე საქართველოში არ არსებობდა კანონი, რაც შეზღუდავდა აასპ-ის ურეცეპტო გამოყენებას, სექტემბრიდან მიღებული კანონის თანახმად ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი აასპ ნიმესულიდი გადავიდა სარეცეპტო სიაში, რასაც წესით უნდა შეემცირებინა აღნიშნული პრეპარატის გაყიდვები, თუმცა სტატისტიკამ აჩვენა, რომ მისი მოხმარება პრაქტიკულად არ შეცვლილა, რისი სავარაუდო მიზეზი უნდა იყოს ე.წ. შავი ბაზრის არსებობა. გაყიდვებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ნიმესულიდის გაყიდვები არათუ შემცირდა, პირიქით, 2014 წლის ოქტომბერში 2013 წლის ოქტომბერთან შედარებით გაზრდილია 11%-ით.

დასკვნები და რეკომენდაციები: კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ პაციენტთა 70-80% აქტიურად იღებს არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს, რომელთაგან მხოლოდ 20% ექიმის დანიშნულებით. ყოველი ახალი აასპ-ის მარკეტინგი იმგვარად უნდა შეიზღუდოს, რომ მკურნალობის პირველ ეტაპზე ეს წამალი მიიღოს პაციენტების მკაცრად გაკონტროლებულმა რაოდენობამ და შესაძლებელი გახდეს მისი არასასურველი რეაქციების პროფილის დადგენა; უნდა არსებობდეს წამლების არასასურველი მოქმედების მონიტორინგის ადეკვატური დამოუკიდებელი სისტემა; ვფიქრობთ, მარეგლამენტირებელმა ორგანოებმა, ჯანდაცვის სამინისტრომ და წამლების შესახებ საინფორმაციო სტრუქტურებმა განიხილონ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების უსაფრთხოების პროფილი, მათი რაოდენობის შეზღუდვის მიზნით, დარჩეს ის პრეპარატები, რომელთაც უსაფრთხოებისა და ეფექტურობის უკეთესი მახასიათებლები და უფრო დაბალი თვითღირებულება გააჩნიათ. ასევე სასურველია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა პრეპარატების უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Benett, W.M., DeBroe, M.E. Analgesic nephropathy – a preventable renal disease. New England Journal of Medicine, 11 May 1989;320(19):1269-71.
2. Anon. Nonsteroidal anti-inflammatory agents: hazards of long-term use. WHO Drug information. 1991; 5(1):11.
3. Anon. NSAI restrictions on Australian PBS. Scrip, 29 Jan 1993; 1790:18.
4. ვ.ერიაშვილი, ნ.დუღაშვილი. ფარმაცებტული ბიზნესის საფუძვლები. 2006, თბილისი
5. ვ.ერიაშვილი, თ.ზარქუა. ფარმაცევტული ბიზნესის საფუძვლები. 2009, თბილისი

მარინა ყაჯრიშვილი, ლილი ლომთაძე, ირინე ზარნაძე, დალი კიტოვანი

არასტეროიდული პრეპარატების გასაღების მარკეტინგული კვლევის შედეგები

თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

რეზიუმე

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები მიეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე ხშირად მოხმარებულ წამლებს. საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე უკონტროლოდ იყიდება სხვადასხვა ჯგუფის არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები. ყველა ეს წამალი თავისი მრავალი გვერდითი ეფექტით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

კვლევის მიზანი იყო შესწავლილიყო არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გაყიდვის ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები, ასევე შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ პრეპარატებს ექიმის დანიშნულებით მომხმარებლების მხოლოდ 20% ყიდულობს. ამას ემატება მოსახლეობის ინფორმირებულობის უკიდურესად დაბალი დონე ამ მიმართულებით. კვლევის შედეგების სათანადო შეფასების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია და მნიშვნელოვანია ქვეყანაში პრეპარატების გვერდითი ეფექტების მონიტორინგის ადეკვატური დამოუკიდებელი სისტემა.